N224 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2015, 470230000.10.003.018398) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-2 მუხლის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საექსპერტო/საინჟინრო სამუშაოები და საპროექტო/საავტორო ზედამხედველობა;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტს დაემატოს „ვ.გ - ვ.ვ“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ვ.გ) შენობის დასუფთავების მომსახურების შესყიდვა;

ვ.დ) შენობის დაზიანებული გარე ფასადის მინებისა და საკეტების შეცვლის სამუშაოების შესყიდვა;

ვ.ე) მოძრავი ტიხრების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;

ვ.ვ) ფარდა-ჟალუზების შესყიდვა.“.

2. მე-2 მუხლს დაემატოს „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„კ) დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (ვერტიკალური დაგეგმარების გარეშე);

ლ) ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.“.

3. მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ პროგრამის მე-2 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ.ბ“, „ვ.გ“, „ვ.ე“, „ვ.ვ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ პროგრამის მე-2 მუხლის „ვ.დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.“.

4. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით განისაზღვროს 13 452.5 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა	433.4
2	სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	101.0
3	საექსპერტო/საინჟინრო სამუშაოები და საპროექტო /საავტორო ზედამხედველობა	69.5
4	დაბა ხარაგაულის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის:	232.1
	4.1 სამედიცინო აღჭურვილობის, საოფისე ავეჯის, ინვენტარისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვა	202.1
	4.2 გათბობა-გაგრილების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	30.0
5	სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის:	1 044.0

	5.1 სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	850.0
	5.2 კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვა	194.0
6	**ეროვნული სამედიცინო ტრენინგცენტრის:**	93.7
	6.1 კომუნალური ხარჯების დაფინანსება	10.0
	6.2 შენობის დასრულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	46.7
	6.3 შენობის დასუფთავების მომსახურების შესყიდვა	15.0
	6.4 შენობის დაზიანებული გარე ფასადის მინებისა და საკეტების შეცვლის სამუშაოების შესყიდვა	5.0
	6.5 მოძრავი ტიხრების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	1.0
	6.6 ფარდა-ჟალუზების შესყიდვა	16.0
7	**პროგრამის ადმინისტრირება**	45.0
8	**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ტერიტორიაზე არსებული სპეციალურად განკუთვნილი სამარაგო ფართის:**	118.1
	8.1 სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	58.5
	8.2 ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა	46.3
	8.3 სამარაგოს დაშვების სისტემა-სიგნალიზაციის შესყიდვა	13.3
9	**საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი), თეთრიწყაროსა (ქ. თეთრიწყარო) და წალკის (ქ. წალკა)) მოქმედი შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრების (მოძრავი და უძრავი) ქონების გამოსყიდვა,**	7 190.1

	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №302 განკარგულების შესაბამისად	
10	**დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (ვერტიკალური დაგეგმარების გარეშე)**	1 539.0
11	**ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა**	2 586.5
	სულ	13 452.5.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**